

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №46**

30 ივნისი 2023 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, არჩილ გორდულაძე,საბა ბუაძე, ნინო წულაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი-მარიამ კვერნაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.№12-0323179137-03 28/06/2023
2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. №12-03231801-03 29/06/2023
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-03231792-03 28/06/2023
4. ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 968 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.519) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ №12-032313797-03 18/05/2023
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს“ (ს/ნ: 405385578) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის მე-2 მიკრო რაიონში, ღემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ნიკე გრუპის“ (ს/ნ: 405385578) უფლებამონაცვლე, შპს „ლ.ბ დილომის“ (ს/ნ: 430044631) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-03231671-03 16/06/2023

6. ქალაქ თბილისში, ზაქესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.003.002.01.512) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. №12-032316623-03 15/06/2023

7. ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N4გ-ში (საკადასტრო კოდები: N01.12.07.005.013.01.628 და N01.12.07.005.013.01.630) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ №12-032316623-03 15/06/2023

8. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.011.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. №12-032316623-03 15/06/2023

9. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-3 კვარტლის კორპუს „გ“-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.022.014.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

10. ქალაქ თბილისში, სოფელ დიდომში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.20.024.002.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. №12-032316623-03 15/06/2023

11. ქალაქ თბილისში, გიორგი ჩიტაიას ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.002.001.31.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ №12-03231793-03 28/06/2023

12. ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, მე-9 კვარტლის კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.031.010.01.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. №12-032316623-03 28/06/2023

13. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032317274-03 22/06/2023

14. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში არსებული 41.11 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032317954-03 28/06/2023

15. ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N130-ში არსებული 50.35 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.077.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032317954-03 28/06/2023

16. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში არსებული 32.32 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.530) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032317954-03 28/06/2023

17. „ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ: 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N199 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შეთანხმების თაობაზე. №12-0323179101-03 29/06/2023

18. ქ. თბილისში, მოსემვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.002.044) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ასორტი ვერესთვის“ (ს/ნ: 404880474) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. №12-032317914-03 28/06/2023

19. ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N20-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.031.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლილი ვანილისთვის“ (ს/ნ: 404548995) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032317370-03 22/06/2023

20. ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N36-40-ის მიმდებარედ არსებული 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.016.040) 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნეკაფესთვის“ (ს/ნ: 405270987) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032317371-03 22/06/2023

21. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N25-27-ის მიმდებარედ არსებული 1402 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.012.075) 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ „მარიკა სვიანაძისთვის“ (პ/ნ: 18001015487) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. №12-032317914-03 28/06/2023

22. ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩა, N28-66-ის მიმდებარედ 2286 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.029.055) 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის“ (ს/ნ: 404552587) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. №12-032317914-03 28/06/2023

23. ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N118-ის მიმდებარედ 39 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანისთვის“ (ს/ნ: 405241563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. №12-032317950-03 28/06/2023

24. ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის“ (ს/ნ: 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. №12-032317952-03 28/06/2023

25. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.007.095) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორასთვის“ (ს/ნ: 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“. №12-032317950-03 28/06/2023

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.

ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს გადასახდელების ნაწილში არსებული რესურსების გადანაწილების ხარჯზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა დარჩება უცვლელი და შეადგენს 1 803 072,3 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 4 900,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 2 500,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 750,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 2 000,0

ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 641,8 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - 1 000,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) - 990,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) - 350,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 100,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) პროგრამის ასიგნება – 8 140,6 ათასი ლარით.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) ქვეპროგრამის ასიგნებები – 500,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 7 939,5 ათასი ლარით, საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) - 650,0 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნებები - 10 800,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) - 1 382,9 ათასი ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 687 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4777 ერთეულით.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **საკრებულოს დადგენილების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან ჟორჟოლიანმა.

ლევან ჟორჟოლიანის მოხსენებით, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით დაწესებულია მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე. დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელია პირი, რომლის საქმიანობის შედეგადაც წარმოიქმნება ნარჩენები. N17-46 დადგენილების დანართი 2-ის 30-ე - 33-ე გრაფით გათვალისწინებულია დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა სამშენებლო ობიექტებზე, მათ შორის, 31-ე გრაფა ეხება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური მშენებარე ობიექტებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების 35-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულებისა და მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, დაუმთავრებელი მშენებლობების მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული ხელშეწყობის ღონისძიებები. ამავე დადგენილების მიხედვით, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშეწყობის ღონისძიებების სახით შესაძლებელია, განხორციელდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, ასევე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან (შენობა-ნაგებობათა მაქსიმალური სიმაღლე, ფუნქციური ზონა და მისი რეგლამენტი,

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით/განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნები, სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციები, მიჯნის ზონისა და შენობა-ნაგებობის განთავსების წესის, ავტოსადგომების რაოდენობისა და სხვა) განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილების შეტანა.

ამდენად, რადგან ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების მიზანი არის დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულება, მიზანშეწონილია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ, ასევე განხორციელდეს დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიება, რათა კიდევ უფრო მეტი სტიმული არსებობდეს დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის.

შესაბამისად, პროექტის მიხედვით დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვისაგან გათავისუფლება ის ობიექტები, რომლებიც „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლის შესაბამისად მიიჩნევა დაუმთავრებელ მშენებლობად. ანუ, ამ რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები განსაზღვრავენ თუ რომელი ობიექტი ითვლება დაუმთავრებელ მშენებლობად. შესაბამისად, თუ ეს ობიექტი ჩაჯდება ამ კრიტერიუმებში, ამ ობიექტზე გავრცელდება პროექტით გათვალისწინებული შეღავათიც.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა: იმისათვის, რომ მოხდეს პროექტით გათვალისწინებული ამ შეღავათის გამოყენება, ამასთანავე აუცილებელია არსებობდეს შემდეგი პირობა, კერძოდ: დაუმთავრებელი ობიექტის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები (ანუ, დაინტერესებულმა პირმა უნდა მომართოს ხსენებული რეგლამენტის 35-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტს და მის მიმართ ამავე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გამოყენებული უნდა იქნას შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებები).

წარმოდგენილი ცვლილება გავრცელდება 2022 წლის 1 აპრილიდან წარმომობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დავა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა მარიამ კვერცხიძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერცხიძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-624-1-27208 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დაიდო „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიანი ხელშეკრულება“, რომლის საფუძველზეც, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის ქუჩა 13-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7174 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.10.16.004.282.

აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, ქონების საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 2 635 944 (ორი მილიონ ექვსას ოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

ხელშეკრულებით მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის: ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) წლის ვადაში (არაუგვიანეს 10.12.2023 წ.) ქონებაზე სპორტული კომპლექსის, მათ შორის, არანაკლებ 3 (სამი) საჩოგბურთო კორტის (ღია ან დახურული), საცურაო აუზის, ფიტნეს-დარბაზის, ასევე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულებისა და სპორტულ კომპლექსთან დაკავშირებული სივრცეების (შემდგომში: სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი) მშენებლობა, ექსპლუატაციაში მიღება, მოწყობა, შესაბამისად აღჭურვა და ამ მიზნით, არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მყიდველის მიერ სააგენტოში წარმოდგენილია სს „თბილისი ბანკის“ (ს/ნ. 204854595) მიერ 2022 წლის 24 ივნისს გაცემული 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის №4106124-12072333 საბანკო გარანტია.

2023 წლის 29 მაისს მყიდველმა განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობისა და შესაბამისი ინვესტიციის განხორციელების ვადის 2025 წლის 01 ივლისამდე გაზრდა.

მომხსენებლის თქმით, მყიდველის განმარტებით, პროექტი გახდა უფრო მასშტაბური, რაც მოიცავს აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ჩოგბურთის კორტების გარდა, საცურაო აუზის, ფიტნეს-დარბაზის და სპორტულ კომპლექსთან დაკავშირებული სივრცეების მშენებლობას. პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით, პროექტირებას დასჭირდა დაახლოებით 6 თვე. დამუშავებული პროექტის მიხედვით, კომპლექსის ასაშენებლად, მყიდველი გეგმავს არანაკლებ 26 000 000 (ოცდაექვსი მილიონი) ლარის ინვესტირებას, რაც ბევრად აღემატება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას. მყიდველი მიუთითებს, რომ სამშენებლო პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მიმართა 2022 წლის 05 აგვისტოს. სამშენებლო პროექტის შეთანხმებას დასჭირდა დიდი დრო, ვინაიდან მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო გახდა: პროექტის შეთანხმება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის მოწყობასთან კავშირებით; მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე (სამშენებლო მოედნიდან 20 მეტრის რადიუსში) ზეგავლენის კვლევის ანგარიშის მომზადება; საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და შესაბამისი ექსპერტიზა; პროექტის შეთანხმება ხაზოვანი ნაგებობების მესაკუთრეებთან. შესაბამისი კვლევები და შეთანხმებები მყიდველის მიერ მომზადდა დროულად, თუმცა დიდი დრო დასჭირდა არქიტექტურის სამსახურსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს შორის შეთანხმებას, ასევე არქიტექტურის სამსახურსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შორის შეთანხმებას, რაც დასრულდა მიმდინარე წლის გაზაფხულზე. არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 13 აპრილის ბრძანებით შეთანხმდა ქონებაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის სამშენებლო პროექტი და ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სპორტული ობიექტის მასშტაბებისა და საინვესტიციო მოცულობის მნიშვნელოვნად გაზრდის გამო, საჭიროა მშენებლობის გაზრდილი ვადები და ვინაიდან შესაბამისი სანებართვო დოკუმენტების მოპოვებას დასჭირდა გაუთვალისწინებლად დიდი დრო, ასევე, ვინაიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის დარჩენილია მცირე დრო, მყიდველმა მოითხოვა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობისა და შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გაზრდა არაუგვიანეს 2025 წლის 01 ივლისისა.

ყოველივე აღნიშნულისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 ივნისის №23.934.1060 განკარგულების

გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმება.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 968 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.519) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 9 დეკემბრის № 21.1644.1849 განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის № 58 განკარგულების შესაბამისად, შპს „ლიტ ჯეოს“ პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით გადაეცა „ქ. თბილისში, გმირ კურსანტთა III შესახვევი N4-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1968 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადასაცემად, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

კომპანიამ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი N01.11.05.013.152) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მიზნით (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი), მიმართა არქიტექტურის სამსახურს. არქიტექტურის სამსახურმა 2022 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მიწისქვეშა წყალმომარაგების ქსელის არსებობიდან გამომდინარე დაავალა სპს „ჟორჯიან უოთერ ენდ ფაუნდს“ პოზიციის წარმოდგენა. „ჯივიპი“-ს წერილის შესაბამისად საკ/კოდი N01.11.05.013.152-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ გაედინება მათ ბალანსზე რიცხული ჟინვალის გვირაბი, რომლის ადგომდებარეობაც უცნობია. ჟინვალის გვირაბი წარმოადგენს წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის განუყოფელ ნაწილს და მოცემულ შემთხვევაში ხაზობრივი ნაგებობის სანიტარული დაცვის ზოლის სიგანედ მიღებულია წყალსადენის გვირაბის ორივე განაპირა ხაზიდან მანძილი არანაკლებ 20 მეტრისა. ჟინვალის წყალმომარაგების გვირაბის დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება, რომ გვირაბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს გრუნტის წყლები, სანიტარული დაცვის ზოლის სიგანედ მიღებული უნდა იყოს მანძილი არანაკლებ 50 მეტრისა. ასევე სანიტარული დაცვის ზოლში იკრძალება შენობა-ნაგებობის განთავსება, ვინაიდან გვირაბის დაზიანების შემთხვევაში „ჯივიპი“-ს შეექმნება სირთულეები საავარიო-აღდგენითი სამუშაოების წარმოებისას. აქედან გამომდინარე წყალმომარაგების კომპანია წინააღმდეგია სანიტარული დაცვის ზოლში განხორციელდეს კანონით აკრძალული აქტივობები.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არიან თვითნებურად შეჭრილი პირები, რომლებიც გამოხატავენ პროტესტს საკუთრების უფლების წარმოშობის წინააღმდეგ და ხელს უშლიან კომპანიას პროექტის ფარგლებში სამუშაოების დაწყებაზე, ასევე მიწის ნაკვეთის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა ეწინააღმდეგება ამ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია ვერ ასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

მარიამ კვერნაძემ ასევე განმარტა, რომ ქონების მართვის სააგენტოს მიერ შეთავაზებული იქნა შპს „ლიტ ჯეოსთვის“ ალტერნატიული მიწის ნაკვეთი - ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 968 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.519), რაზედაც კომპანიამ თანხმობა განაცხადა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 968 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.519) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით გადაეცემა შპს „ლიტ ჯეოს“-თვის (ს/ნ 243859749) გარკვეული საპრივატიზებო პირობებით, ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა, III შესახვევი N4-

ის მიმდებარედ არსებულ 1968 კვ.მ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.152) დაკავშირებით არსებული უფლებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნებასა და აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე სანაცვლოდ.

მომხრე-6 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ნიკე გრუპს“ (ს/ნ: 405385578) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიდმის მე-2 მიკრო რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ნიკე გრუპის“ (ს/ნ: 405385578) უფლებამონაცვლე, შპს „ლ.ბ დიდომის“ (ს/ნ: 430044631) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 დეკემბრის N21.1714.1918 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N59 განკარგულებების საფუძველზე, განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებული კომპანიისთვის - შპს „ნიკე გრუპისთვის“- ქ. თბილისში, დიდი დიდმის მე-2 მიკრო რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება. ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის: „ხელშეკრულების შესაბამისად სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე განხორციელოს საცხოვრებელი ფართების მშენებლობა და შესაბამისი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ „განშლა“) გზით, კოოპერატივების წევრებს გადასცეს საკუთრების უფლება ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს არაუგვიანეს 2 თვის ვადაში“.

მშენებლობის ნებართვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ იქნა 2023 წლის 20 თებერვლის № 6334059 ბრძანებით. ამასთან, ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, კომპანია კოოპერატივების წევრებს გადასცემს საკუთრების უფლებას ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში. იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო ნებართვა გაცემულ იქნა 2023 წლის 20 თებერვალს, კომპანიას კოოპერატივების წევრებისთვის საკუთრების უფლების გადაცემა და განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე ამონაწერების მომზადება უნდა უზრუნველყო არაუგვიანეს 2022 წლის 20 აპრილის ჩათვლით, თუმცა საკუთრების უფლების რეგისტრაცია და კოოპერატივის წევრების ინდივიდუალურ ფართებზე შესაბამისი ამონაწერების მომზადება კომპანიის მხრიდან განხორციელდა 2023 წლის 21 მაისს. შესაბამისად, ვადაგადაცილება შეადგენს 30 (ოცდაათი) დღეს.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული ვალდებულებ(ებ)ის ვადის დარღვევა, კომპანიის მიერ 2023 წლის 24 მაისის და 2023 წლის 5 ივნისის განცხადებების თანახმად, გამოიწვია ობიექტურმა მიზეზებმა, კერძოდ:

კომპანიის განმარტებითა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსადმი წარდგენილი N882023365790 განცხადებით დგინდება, რომ ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაცია (ე.წ „განშლა“) კი განხორციელდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, თუმცა „კოოპერატივების წევრების“ საკუთრების უფლების რეგისტრაცია და ინდივიდუალურ ფართებზე შესაბამისი ამონაწერების მომზადება ვერ განხორციელდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამის ვადაში. აღნიშნულის ვერ შესრულება გამოწვეულ იქნა იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ საჯარო რეესტრში მიმდინარე წარმოებისას გარდაცვლილი გახლდათ „კოოპერატივის წევრი“ - შალვა ქევხიშვილი (პ/ნ: 01013005923), ხოლო სამკვიდრო მოწმობა გაცემულ იქნა 2023 წლის 11 მაისს (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N230606103). ამასთან, საჯარო რეესტრს განცხადება წარდგინა 2023 წლის 11 მაისს (N882023476039) (სამკვიდრო მოწმობის გაცემის დღესვე), თუმცა ინდივიდუალურ ფართზე შესაბამისი ამონაწერი (ხსენებული პირის მემკვიდრეების საკუთრების უფლება დარეგისტრირდა) მომზადდა 2023 წლის 18 მაისს. ასევე, აღსანიშნავია, რომ მეორე „კოოპერატივის წევრ“ ბონდო ოდიკაძის (პ/ნ: 01020008463) ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, მის მიერ ნების გამოხატვა შეუძლებელი იყო და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის განსაზღვრისა და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად „მხარდაჭერის“ დოკუმენტის გაცემას დასჭირდა გარკვეული დრო. ხსენებული დოკუმენტის მოპოვების შემდგომ, მიმართულ იქნა საჯარო რეესტრისადმი 2023 წლის 16 მაისს N882023485036 განცხადებით, თუმცა ამონაწერი მომზადდა 2023 წლის 21 მაისს, რამაც, ასევე გამოიწვია აღნიშნული პროცესის გაჭიანურება. სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ „განშლა“) გზით, შესაბამის ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განეხორციელებინა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან, მოცემულ შემთხვევაში, 2023 წლის 20 თებერვლიდან - არაუგვიანეს 2 თვის ვადაში - ანუ 2023 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ 2023 წლის 21 აპრილიდან 2023 წლის 21 მაისამდე გასულია 30 დღე, რისთვისაც კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 21000 ლარს. კომპანიამ, 2023 წლის 24 მაისს და 2023 წლის 5 ივნისს განცხადებებით სააგენტოს მიმართა ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნით. გარდა ამისა სააგენტოს 2023 წელს კოლექტიური განცხადებით მომართა ამხანაგობა „ცისარტყელას“ თავმჯდომარემ და მისმა წევრებმა და ითხოვეს კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიება, გამომდინარე იქიდან რომ, აღნიშნული განპირობებულ იქნა კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 14 ივნისის №23.853.951 განკარგულების გათვალისწინებით, საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმოსათვის.

მომხრე-6 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზაპესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.003.002.01.512) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ზაპესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა N1-ში, მეორე სართულზე არსებული 66.77 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.04.003.002.01.512) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე არმიდონი გაბელაიას (პ/ნ 02001000755), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

